proeqti

საქართველოს კანონი

"ეროვნული კინემატოგრაფის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ"

ეროვნული კინემატოგრაფი (შემდგომ ტექსტში – "კინო"), ეროვნული კულტურისა და ხელოვნების განუყოფელი ნაწილია, რომელმაც თავისი არსებობის მანძილზე მნიშვნელოვანი აღიარება ჰპოვა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

კინო შემოქმედებითი საქმიანობის გარდა რთულ ტექნოლოგიურ, საწარმოო, ეკონომიკურ და ფინანსურ პროცესებს მოიცავს და აქედან გამომდინარე, მისი განვითარება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული სახელმწიფო ზრუნვასა და მხარდაჭერაზე, რამაც ასახვა უნდა ჰპოვოს კანონმდებლობაში.

წინამდებარე კანონი, ეფუძნება რა საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობას, ითვალისწინებს რა ქართული კინემატოგრაფიის მრავალწლოვან მდიდარ ტრადიციებსა და კინოს სფეროში მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილებას, მიზნად ისახავს კინოს არსებობისა და განვითარებისათვის სახელმწიფო ხელშეწყობის სამართლებრივი საფუძვლებისა და ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას.

თავი I.
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს კანონმდებლობა კინოს შესახებ

საქართველოს კანონმდებლობა კინოს შესახებ ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. იგი მოიცავს წინამდებარე კანონს, საქართველოს კანონებს "კულტურის შესახებ", "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ", "შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ", სხვა შესაბამის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

მუხლი 2. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი განსაზღვრავს ეროვნული კინოსათვის სახელმწიფო მხარდაჭერის სამართლებრივ მექანიზმებს, ადგენს ეროვნული ფილმის სტატუსს, მისი წარმოებისა და გამოყენების საკანონმდებლო საფუძვლებს, კინოს სფეროში მოქმედი დაწესებულების – კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომ ტექსტში - ეროვნული კინოცენტრი) სამართლებრივ მდგომარეობას, კინემატოგრაფის სახელმწიფო და სხვა სახის დაფინანსების პირობებსა და წესს.

მუხლი 3. კინოს სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი პრინციპები

სახელმწიფო პოლიტიკა ქართული კინოს მხარდაჭერის სფერ
ემყარება შემდეგ პრიციპებს:

ა. კინოს განვითარებაზე სისტემატური ზრუნვა.

ბ. კინოს სფეროში შემოქმედებითი მოღვაწეობის თავისუფლებისა
დამოუკიდებლობის გარანტიების შექმნა.

გ. საავტორო უფლებათა დაცვის ხელშეწყობა კინოს სფეროში.

დ. კინოს აღიარება ხელოვნების იმ დარგად, რომლის განვითარ
დამოკიდებულია მისი ტექნოლოგიური, სამეცნიერო, საინფორმაც
საწარმოო და საგანმანათლებლო ბაზის სრულყოფაზე.

ე. კინოპროდუქციის წარმოებისა და გავრცელებისათვის ხელშეწ
სახელმწიფოს მხრიდან.

ვ. მსოფლიო კინოპროცესებში ქართული კინოს ინტეგრაციაზე ზრუ

ზ. კინოს სფეროში ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებ
განხორციელების უზრუნველყოფა.

მუხლი 4. ძირითადი ცნებების განმარტებანი.

გამოყენებულ ცნებებს ამ კანონის მიზნებისათვის აქვთ შემდ
მნიშვნელობა:

ა. კინემატოგრაფია (კინო) – კულტურისა და ხელოვნების დარ
რომელიც მოიცავს პროფესიულ, შემოქმედებით, საწარმ
ტექნიკურ, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობ
მიმართულს კინოპროდუქციის შესაქმნელად და გასავრცელებლ

ბ. ფილმი – აუდიოვიზუალური ნაწარმოები, რომელიც შექმნ
შემოქმედებითი ჩანაფიქრის საფუძველზე მხატვრული, ანიმაციუ
ქრონიკალურ-დოკუმენტური, სასწავლო, შემეცნებითი, მხატვრ
დოკუმენტური, სატელევიზიო ან სხვა ფორმით
დაფიქსირებულია კინო, ვიდეო ფირზე, ლაზერულ დისკზე ან
სახის ტექნიკურ საშუალებაზე, გაერთიანებულია თემატურ
ერთმანეთთან თანმიმდევრულად დაკავშირებული კადრებით
აღიქმება შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის მეშვეობით.

გ. სრულმეტრაჟიანი ფილმი – 52 წუთზე მეტი ხანგრძლივ
ფილმი.

დ. მოკლემეტრაჟიანი ფილმი – 52 წუთზე ნაკლები ხანგრძლივ
ფილმი.

ე. კინომატიანე – დოკუმენტური მასალა, რომელიც ასახავს წარმ
და ამდენად – განუმეორებელ მოვლენებსა ან ფაქტებს და
გამიზნულია სამომავლო გამოყენებისათვის.

ვ. ფილმის გაქირავება – ნებისმიერი ფორმით და საშუალ
ფილმის გავრცელება მოგების მიღების მიზნით.

ზ. ფილმის ჩვენება – კინოდარბაზში, საეთერო, საკაბ
თანამგზავრული ტელევიზიითა თუ სხვა ტექნიკური საშუალ
მაყურებლისათვის ფილმის დემონსტრირება.

თ. ფილმის პროდიუსერი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომ
იღებს ინიციატივას და კისრულობს პასუხისმგებლობას ფილ
დაფინანსებისა და წარმოებისათვის.

ი. ფილმის დისტრიბუტორი (ვამქირავებელი) – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს მინიჭებული უფლება ორგანიზაცია გაუკეთოს ფილმის გაქირავებას.

კ. ფილმის დემონსტრატორი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც უჩვენებს ფილმს მაყურებელს.

ლ. კინოდარბაზი – სათანადოდ აღჭურვილი სპეციალიზირებული ადგილი, სადაც ხდება ფილმის ჩვენება.

მ. კინოორგანიზაცია – იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის ძირითად საგანს შეადგენს: ფილმების ან კინომატიანის სიუჟეტების წარმოება, ფილმების ასლების გამრავლება, გაქირავება, ჩვენება, ფილმების აღდგენა, კინოდარბაზის ტექნიკური მომსახურება, კინომასალების წარმოება, კინოაღჭურვილობის წარმოება, ფილმწარმოების მომსახურება (კინოტექნიკის გაქირავება, კინოკომპლექსის ან კინოპავილიონის იჯარა, კოსტიუმების შეკერვა, დეკორაციების მშენებლობა, გრიმისა და საგრიმიორო მასალების დამზადება, რეკვიზიტის დამზადება-გაქირავება, გადასაღები ტექნიკისა და სპეცეფექტების მომზადება, ფირის დამუშავება, ფილმის გახმოვანება, მუსიკალური გახმოვანება და სხვა), საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევითი, ბეჭდვითი, საგამომცემლო, სარეკლამო-პროპაგანდისტული საქმიანობა კინოს სფეროში, ფილმების ასლისა და ფილმის საწყისი მასალების შენახვა.

ნ. ფილმის პროექტი – დოკუმენტების პაკეტი, რომლის საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილება ფილმის წარმოების დაფინანსების შესახებ.

ო. ფილმის ან კინომატიანის საწყისი მასალები – ნეგატივი, კონტრატიპი, საკონტროლო ასლი, ვიდეო მასტერ კასეტა, მაგნიტური ფონოგრამის ორიგინალები და სხვა მასალები, რომლებიც აუცილებელია ფილმის წარმოებისა და ტირაჟირებისათვის ნებისმიერი ფორმით (კინოფილმი, ვიდეოკასეტა, ლაზერული დისკი და სხვა).

პ. ფილმის ტირაჟირება (გამრავლება) – ფილმის ერთი ან მეტი ასლის დამზადება ნებისმიერი ფორმით.

ჟ. კინოპროდუქცია – ფილმი, კინომატიანე, საწყისი მასალები, ტირაჟი ან ტირაჟის ნაწილი.

რ. კინოაღჭურვილობა – მოწყობილობა, აპარატურა, ტექნიკური საშუალებები და მათი სათადარიგო ნაწილები, რომლებიც გამოიყენება კინოწარმოების, ტირაჟირების, გაქირავების, ფილმის ჩვენებისა და ფილმწარმოებისათვის საჭირო სამუშაოებისა და მომსახურებისათვის.

ს. კინომასალები – ნედლეული და მასალები, რომლების გმოიყენება ფილმების წარმოების, ტირაჟირების, აღდგენის, გაქირავებისა და ჩვენებისათვის, ასევე ფილმწარმოებისათვის საჭირო სამუშოებს შესრულებისა და მომსახურებისათვის, კინოაღჭურვილობის დამზადებისათვის

ტ. კინოარქივი – ფილმსაცავი, სადაც ინახება კინოპროდუქცია.

მუხლი 5. ეროვნული ფილმი.

1. ფილმი წარმოადგენს ეროვნულ ფილმს, თუ:

ა. ის იქმნება საქართველოს სახელმწიფო ენაზე;

ბ. მისი პროდუსერი არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველ[illegible] რეგისტრირებული იურიდიული პირი;

გ. მისი ავტორები არიან საქართველოს მოქალაქენი;

დ. ფილმის გადამღები ჯგუფის (დამდგმელი-რეჟისორები, დამდგმელ[illegible] ოპერატორები, ოპერატორები, ხმის ოპერატორები, მხატვრ[illegible] კოსტიუმების მხატვრები, მონტაჟორები, მთავარი როლებ[illegible] შემსრულებელი მსახიობები) შემადგენლობის 30 პროცენტს [illegible] აღემატება იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც არ გააჩნ[illegible] საქართველოს მოქალაქეობა;

ე. მისი წარმოების, ტირაჟირების, გაქირავებისა და ჩვენების მიზ[illegible] გაწეული სამუშაოების მთლიანი მოცულობის არანაკლებ 50 პროცენ[illegible] ახორციელებს საქართველოში რეგისტრირებული კინოორგანიზაცია.

2. ეროვნულად ჩაითვლება უცხო ენაზე (არა სახელმწიფო ენ[illegible] გადაღებული ფილმი, თუ ამას მოითხოვდა სცენარი და ამასთან, ფილ[illegible] აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ სხვა მოთხოვნებს.

3. ეროვნულ ფილმად მიიჩნევა ერთობლივი წარმოების ფილ[illegible] რომელიც იქმნება უცხოურ კინოორგანიზაციებთან ერთად შესაბამ[illegible] საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების პირობების დაცვით.

თავი II.

კინოს სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი ღონისძიებები

მუხლი 6. კინოს სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი ფორმები

1. სახელმწიფოს მხრიდან კინოს მხარდაჭერა და ხელშეწ[illegible] ხორციელდება შემდეგი ძირითადი ფორმებით:

ა. კინოს სფეროში შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება [illegible] მისი სრულყოფა.

ბ. კანონმდებლობით დადგენილი წესით ეროვნული ფილ[illegible] წარმოებისა და გაქირავების საქართველოს სახელმწ[illegible] ბიუჯეტიდან დაფინანსება.

გ. კინოს სფეროში შესაბამისი სახელწიფო პროგრამების დაგ[illegible] განხორციელება.

დ. კანონმდებლობით დადგენილი წესით კინოორგანიზაც[illegible] საქმიანობის შეღავათიანი საგადასახადო რეგულირება.

ე. კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფორმები.

2. სახელმწიფოს მხრიდან კინოს მხარდაჭერის ღონისძ[illegible] მიმართულია:

ა. ეროვნული ფილმების შესაქმნელად.

ბ. კინოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასანვითარებლად.

გ. ფილმების გაქირავებისა და ჩვენებისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად.
დ. სამენციერო, საგანმანათლებლო და ტექნიკური პროგრამების განსახორციელებლად.
ე. კინოფესტივალებისა და სხვა კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად.
ვ. საერთაშორისო ფესტივალებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.
3. ყველა კინოორგანიზაცია უფლებამოსილია მიიღოს და ისარგებლოს შესაბამისი სახელმწიფო მხარდაჭერით, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით და მის საფუძველზე დადგენილ მოთხოვნებს.

<u>მუხლი 7. კინოს სახელმწიფო მხარდაჭერის განმახორციელებელი დაწესებულება.</u>

ქართული კინოკულტურის დაცვის, მისი განვითარების ხელშეწყობის, სახელმწიფო მხარდაჭერისა და ამასთან დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობათა კოორდინაციის უფლებამოსილება ეკისრება საქართველოს ეროვნულ კინოცენტრს.

<u>მუხლი 8. ეროვნული კინოცენტრის სამართლებრივი მდგომარეობა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.</u>

1. ეროვნული კინოცენტრი წარმოადგენს ამ კანონის საფუძველზე საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც სახელმწიფო კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს თავის საქმიანობას.
2. ეროვნული კინოცენტრი დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად სარგებლობს სპეციალური უფლებაუნარიანობით, ამასთან იგი უფლებამოსილია განახორციელოს ამ კანონითა და საკუთარი დებულებით გათვალისწინებული საქმიანობა.
3. ამ კანონითა და საკუთარი დებულებით გათვალისწინებული ძირითადი მიზნების მისაღწევად ეროვნული კინოცენტრი უფლებამოსილია გასწიოს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა.
4. ეროვნული კინოცენტრის დაფინანსების წყაროა:
ა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები.
ბ. სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი.
გ. ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი.
დ. სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.
5. კინოცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც თანამდებობაზე 3 წლის ვადით ინიშნება კულტურის მინისტრის მიერ (ბრძანებით) საქართველოს კინემატოგრაფისტთა საერთო-ეროვნულ შემოქმედებით კავშირთან შეთანხმებით.

6. ეროვნული კინოცენტრის სახელმწიფო კონტროლს ახორციელ
საქართველოს კულტურის სამინისტრო კანონმდებლობისა და კინოცენტ
დებულების შესაბამისად.

7. ეროვნული კინოცენტრის მიზნებსა და საქმიანობის ძირი
მიმართულებებს განეკუთვნება:

ა. კინოს დარგში კანონპროექტებისა და სხვა ნორმატიული აქტ
პროექტების შემუშავება.

ბ. ქართული კინოს დაცვისა და განვითარების სახელმწ
პროგრამების შექმნასა და რეალიზაციაში მონაწილეობა.

გ. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავ
პროცესში სათანადო წინადადებების მომზადება და წარდ
კინემატოგრაფიისათვის გამოსაყოფი ასიგნებების ნაწილში.

დ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან კინოზე გამოყოფილი სახსრ
განაწილება კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი საკონკ
წესით.

ე. კინოს ინფრასრუქტურის განვითარებისა და კინოქსელისა
გათვალისწინებული სახელმწიფო მხარდაჭერის კოორდინაცია.

ვ. სახელმწიფო რეგისტრის წარმოება ფილმებზე, შესაბ
დოკუმენტაციის გაცემა ფილმების გაქირავებისა და ჩვ
რეგულირების მიზნით, ცალკეული ფილმის მაყურებ
ასაკობრივი ცენზის განსაზღვრა.

ზ. საქართველოს ეროვნული კინოარქივის შექმნა.

თ. კინოს სფეროში ლიცენზირება კანონმდებლობის შესაბამისად.

ი. კინოგანათლებისა და კინომეცნიერების განვითარებ
შემოქმედებითი და საინჟინრო-ტექნიკური კადრების მომზადებ
ხელშეწყობა.

კ. კინოს დარგში სტატისტიკური აღრიცხვიანობის სისტ
დანერგვა, კინოორგანიზაციათა ერთიანი მონაცემთა ბაზის წარმ

ლ. კინოს დარგში საერთაშორისო კავშირების განვითა
წარმომადგენლობა საერთაშორისო კინოორგანიზაც
მონაწილეობა კომისიებში, კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებ

მ. ფილმის ავტორთა უფლებების დაცვა.

8. ეროვნული კინოცენტრის სტრუქტურა, კომპეტენცია, მა
ორგანოების შექმნისა და საქმიანობის წესი, სახელმწიფო კონტრ
ფორმა და ფარგლები, საფინანსო საქმიანობის საფუძვლები და ქონ
ფორმირების წესი ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად განისაზღ
კინოცენტრის დებულებით, რომელსაც შეიმუშავებს კინოცენტრი
ამტკიცებს საქართველოს კულტურის მინისტრი.

თავი III.
კინოს სახელმწიფო დაფინანსება

<u>მუხლი 9. კინოს სახელმწიფო დაფინანსების წესი და პირობები.</u>

1. კინოს სახელმწიფო მხარდაჭერის ერთ-ერთ ძირითად ფ
წარმოადგენს მისი ნაწილობრივი სახელმწიფო დაფინანსება.

2. კინოს სახელმწიფო დაფინანსებისათვის ყოველწლიურად ეროვნული კინოცენტრის ორგანიზაციულ კოდზე იგეგმება სათანადო ასიგნებები საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილიდან.

3. კინოს სახელმწიფო დაფინანსების განაწილების წესი და პირობები ამ კანონისა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე განისაზღვრება ეროვნული კინოცენტრის საკონკურსო დებულების მიხედვით, რომელსაც შეიმუშავებს ეროვნული კინოცენტრი კინემატოგრაფისტთა ეროვნულ-შემოქმედებით კავშირთან ერთად და ამტკიცებს კულტურის მინისტრი.

4. ეროვნული კინოცენტრი სახელმწიფო დაფინანსების განაწილებას ახორციელებს საკონკურსო დებულების საფუძველზე კინოცენტრსა და შესაბამისად - ეროვნული ფილმის პროდიუსერს, გამქირავებელსა ან დემონსტრატორს შორის ხელშეკრულების დადების გზით.

5. კინოს სახელმწიფო დაფინანსება ატარებს მიზნობრივ ხასიათს და იგი არ შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა დანიშნულებით, გარდა კანონმდებლობითა და შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისა.

<u>მუხლი 10. ეროვნული ფილმის წარმოების სახელმწიფო დაფინანსება.</u>

1. ეროვნული კინოცენტრი ქმნის საექსპერტო კომისიას, რომელიც შედგება შემოქმედი მუშაკებისა და შესაბამისი ექსპერტებისაგან. საექსპერტო კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საექსპერტო კომისიის დებულების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს კინოცენტრის დირექტორი საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით.

2. ეროვნული კინოცენტრი საექსპერტო კომისიის დასკვნის გათვალისწინებით ღებულობს გადაწყვეტილებას ეროვნული ფილმის წარმოების დაფინანსებისა და პროდიუსერისათვის თანხის გამოყოფის შესახებ.

3. სახელმწიფო დაფინანსების წილი ეროვნული ფილმის წარმოებაში, როგორც წესი არ შეიძლება აღემატებოდეს ფილმის საერთო ხარჯთაღრიცხვის 75 პროცენტს.

<u>მუხლი 11. ეროვნული ფილმის გაქირავების სახელმწიფო დაფინანსება.</u>

1. ეროვნული კინოცენტრი საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე ღებულობს გადაწყვეტილებას ეროვნული ფილმის გასაქირავებლად (ასლების გამრავლება, სუბტიტრება, ვიდეოასლის დამზადება, რეკლამა და სხვა) თანხის გამოყოფის შესახებ.

2. ეროვნული ფილმის გაქირავების სახელმწიფო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს გაქირავების საერთო ხარჯების 50 პროცენტს.

მუხლი 12. ეროვნული ფილმის საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობ
სახელმწიფო დაფინანსება.

1. ეროვნული კინოცენტრი აფინანსებს ეროვნული ფილმ
მონაწილეობას "ა" კატეგორიის საერთაშორისო ფესტივალებში ხარჯ
100 პროცენტამდე ოდენობით, სხვა კატეგორიის ფესტივალებში კ
ნაწილობრივ.

2. ეროვნულმა კინოცენტრმა ნაწილობრივ შეიძლება დააფინან
საქართველოში საერთაშორისო და ეროვნული კინოფესტივალების მოწყობ

მუხლი 13. ეროვნული ფილმის საწყისი მასალებისა და კინომატიანეს
შენახვის წესი

1. გამონაკლისის სახით სრული სახელმწიფო დაფინანს
წარმოებული ეროვნული ფილმის საწყისი მასალები და კინომატ
გადაეცემა შესანახად და დასაცავად სახელმწიფო კინოარქივს. შენა
წესები განისაზღვრება ეროვნული კინოცენტრის მიერ.

2. ნაწილობრივი სახელმწიფო დაფინანსებით წარმოებული ეროვ
ფილმის საწყისი მასალების შენახვის პირობებს განსაზღვრავს პროდიუს
და ეროვნულ კინოცენტრს შორის დადებული ხელშეკრულება.

3. სახელმწიფო კინოარქივი ფილმისა და საწყისი მასალ
შენახვისას განუხრელად იცავს საავტორო და მომიჯნავე უფლებებს.

4. სახელმწიფო კინოარქივი ეროვნული ფილმისა და კინომატ
პროდიუსერებს შეუზღუდავად უქმნის პირობებს საწყისი მასალ
გამოსაყენებლად.

მუხლი 14. ეროვნული ფილმის წარმოება სახელმწიფო დაკვეთით

სახელმწიფო დაკვეთისას, კინოპროექტის განსაკუთრებ
მხატვრული და კულტურული მნიშვნელობის შემთხვევაში, ეროვ
კინოცენტრის საექსპერტო კომისია საკონკურსო წესით გამონაკლისის
იღებს გადაწყვეტილებას ფილმის ან კინომატიანეს წარმოების
პროცენტით სახელმწიფო დაფინანსების შესახებ. ამ შემთხ
კინოცენტრს დამატებით გამოეყოფა ასიგნებები სახელმწიფოს მიერ.

თავი IV.
კინოორგანიზაციების საქმიანობის რეგულირების თავისებურებანი

მუხლი 15. კინოორგანიზაციების საქმიანობის რეგულირების თავისებურებ

ამ კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით კინოორგანიზაც
საქმიანობის საბაჟო და საგადასახადო რეგულირების თავისებურ
განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით.

თავი V.
გარდამავალი დებულებები

მუხლი 16. კინოცენტრის ჩამოყალიბება.

1. საქართველოს კულტურის სამინისტრომ საქართველოს კინემატოგრაფისტთა საერთო-ეროვნულ შემოქმედებით კავშირთან ერთად კანონის ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება კინოცენტრის ჩამოყალიბებისა და ამოქმედების მიზნით.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მომდევნო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას ეროვნული კინოცენტრის ორგანიზაციულ კოდზე გაითვალისწინოს კინოს დაფინანსების ხარჯები.

მუხლი 17. კინოქსელის რეფორმირება.

კანონის ამოქმედებიდან ექვსი თვის ვადაში ეროვნულმა კინოცენტრმა სააქციო საზოგადოება "ქართულ ფილმთან" ერთად შეიმუშაოს კინოქსელის რეფორმირების პროგრამა მისი რენტაბელობის მიღწევისა და კინოს თვითდაფინანსების პრინციპის ამოქმედების მიზნით.

მუხლი 18. მისაღები ნორმატიული აქტები.

კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით 2001 წლის მარტამდე მიღებულ იქნას ამ კანონით გათვალისწინებული ნორმატიული აქტები.

თავი VII.
დასკვნითი დებულებები

მუხლი 19. კანონის ძალაში შესვლა.

წინამდებარე კანონი ძალაში შედის მისი ოფიციალური გამოქვეყნების დღიდან.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე